

საიდ. №71005/03
IR 1147215

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №18-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბაიერ ქონსამერ ქეა აგ“ (Bayer Consumer Care AG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №18-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №2284/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Oregasept“ (საიდ. №71005/03 IR 1147215) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „დარიუ ვასიკიევიჩ ასეპტა“ (Dariusz Wasikiewicz “Asept”) სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ბაიერ ქონსამერ ქეა აგ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, კომპანია „დარიუ ვასიკიევიჩ ასეპტა“-ს (Dariusz Wasikiewicz "Asept") კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „OREGASEPT“ (IR 1147215) მსგავსია აპელანტის მიერ უფრო ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „ORASEPT“ (რეგ. N17865; რეგისტრაციის თარიღი: 18.09.2007 წელი), კერძოდ ნიშნების პირველი ორი და ბოლო ხუთი ასო იდენტურია, განსხვავება მხოლოდ ორ ასოშია, რაც ვერ ანიჭებს ნიშანს განმასხვავებლობას, რადგან სიტყვის აღქმისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნიშნის საწყისი და ბოლო ნაწილი, რაც აბსოლუტურად იდენტურია. აპელანტის პოზიციით, მსგავსება იმდენად დიდია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №2284/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Oregasept“ (საიდ. №71005/03 IR 1147215) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „დარიუ ვასიკიევიჩ ასეპტა“ სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო

საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი “OREGASEPT” (საიდ. №71005/03 IR 1147215) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი “ORASEPT” (რეგ. №17865) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები სიტყვიერია და შესრულებულია ლათინური ასოებით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად ასომთავრული შრიფტითაა შესრულებული და შედგება შვიდი ასოსაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშანის პირველი ასო შესრულებულია ასომთავრული შრიფტით, ხოლო დანარჩენი კი სტანდარტული შრიფტით და შედგება ცხრა ასოსაგან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განცხადებულ ნიშანს სძენს ვიზუალურ განსხვავებას. განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ჟღერადობა. განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის როგორც “ორეგასეპტ”, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც “ორასეპტ”. განსხვავებულია განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში მარცვლების რაოდენობა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ბოლო ნაწილი “სეპტ” ფართოდ გამოიყენება სამედიცინო პრეპარატებში და

შესაბამისად, ნიშანში იგი წარმოადგენს სუსტ ელემენტს. რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საწყის ნაწილებს „ორა“ და „ორეგა“, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მსგავსია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, მაგრამ, ნიშნების ის საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი ახდენენ მომხმარებელზე იმდენად განსხვავებულია, რომ არ მოხდება მომხმარებლის მხრიდან მათი აღრევა და შესაბამისად, შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ბაიერ ქონსამერ ქეა აგ“ (Bayer Consumer Care AG) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №454/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Oregasept“ (საიდ. №71005/03 IR 1147215) დაცვის მინიჭების შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე